ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 348

7 დეკემბერი
"___" _____ 2018 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა №15-ის მიმდებარედ არსებული 59 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.19.33.001.264) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მოდინახე"-სთვის (ს/ნ: 439393835) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122^1 მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა №15-ის მიმდებარედ არსებული 59 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.19.33.001.264) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მოდინახე"-სთვის (ს/ნ: 439393835) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 17 ოქტომბრის №18.835.1210 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა №15-ის მიმდებარედ არსებული 59 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: № 01.19.33.001.264) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მოდინახე"-სთვის (ს/ნ: 439393835) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 850 (ორი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე